



ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2021 წლის სექტემბერში საქართველოს ეკონომიკა წლიურად 6.9%-ით გაიზარდა წინათვის 10.3%-იანი ზრდის შემდეგ. ამასთან, რეალური მშპ 6.1%-ით არის გაზრდილი 2019 წლის სექტემბერთან შედარებით. სექტემბერში ზრდა დაფიქსირდა ეკონომიკის ყველა სექტორში, მშენებლობის დარგის გარდა. ზრდას ხელი შეუწყო ფულადი გზავნილებიდან და ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა, ასევე მთავრობის ხარჯებისა და საბანკო სესხების ზრდამ. ჯამურად, 2021 წლის პირველ 9 თვეში, საქართველოს ეკონომიკა 11.3%-ით გაიზარდა (+4.8% 2019 წლის პირველ 9 თვესთან შედარებით).

საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 2021 წლის სექტემბერში წლიურად 12.7%-ით გაიზარდა (+2.3% თ/თ) და 41.0 მლრდ ლარი შეადგინა. ამასთან, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების პორტფელის წლიურმა ზრდამ სექტემბერში 15.8% შეადგინა (+2.5% თ/თ). სექტორების მიხედვით, სექტემბერში კორპორატიული დაკრედიტების წლიური ზრდა 16.9%-მდე დაჩქარდა, ხოლო საცალო დაკრედიტების ზრდის ტემპმა 14.8% შეადგინა (კურსის ეფექტის გამორიცხვით). 2021 წლის სექტემბერში სესხების დოლარიზაცია 51.4%-მდე (-5.54პპ წ/წ და -0.29პპ თ/თ) შემცირდა, ხოლო უმოქმედო სესხები 2.2%-ს გაუტოლდა (-0.12პპ წ/წ და -0.05პპ თ/თ). საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტები 2021 წლის სექტემბერში წლიურად 12.7%-ით, ხოლო წინათვესთან შედარებით 1.3%-ით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით) და 35.9 მლრდ ლარი შეადგინა. ვალუტების მიხედვით, ლარის დეპოზიტების წლიური ზრდა 11.6% იყო, ხოლო უცხოურ ვალუტის დეპოზიტების ზრდამ 13.3% შეადგინა. ამასთან, სექტემბერში დეპოზიტების დოლარიზაციამ 60.7% შეადგინა (-0.86პპ წ/წ და +0.63პპ თ/თ).

თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონება: საქსტატის მიხედვით, თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსი წლიურად 8.9%-ით გაიზარდა 2021 წლის მე-3 კვარტალში, წინა კვარტალში დაფიქსირებული 10.1%-იანი ზრდის შემდეგ. ამასთან, კერძო სახლების ფასების წლიური ზრდა 13.5%-მდე შენედა, ხოლო საცხოვრებელი ბინების ფასების წლიური ზრდა თითქმის არ შეცვლილა და 7.3% შეადგინა. ამასთან, 2021 წლის მე-3 კვარტალში 2021 წლის მე-2 კვარტალთან შედარებით ფასები შემცირდა ორივე სეგმენტში - კერძო სახლების ფასები 4.6%-ით, ხოლო საცხოვრებელი ბინების ფასები 1.8%-ით შემცირდა, რამაც მთლიანი საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსის 2.5%-იანი კვარტალური კლება განაპირობა. აღსანიშნავია, რომ საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსი ფარავს მხოლოდ ახალი საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარს თბილისის მასშტაბით.

მონეტარული პოლიტიკა: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2021 წლის 27 ოქტომბერს რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად 10%-ზე დატოვა. სეზ-ის თანახმად, სექტემბერში წლიურმა ინფლაციამ 12.3% შეადგინა, რასაც ძირითადად კვლავ ერთჯერადი ფაქტორები განაპირობებდა - მსოფლიო ბაზრებზე სურსათისა და ნავთობის ფასების ზრდა, აგრეთვე საერთაშორისო ტრანსპორტირების გაზრდილი ხარჯები. სეზ-ის მიმდინარე პროგნოზით, ინფლაცია 2022 წლის თებერვლის ჩათვლით მაღალ დონეზე შენარჩუნდება, ხოლო 2022 წლის გაზაფხულიდან შემცირებას დაიწყებს, რასაც, დროებითი ფაქტორების მიღვევასთან ერთად, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნება და ფისკალური კონსოლიდაცია შეუწყობს ხელს. სეზ-ის მიხედვით ინფლაციური რისკები ნარჩუნდება, და მათი რეალიზების შემთხვევაში შესაძლებელია მონეტარული პოლიტიკის შემდგომი გამკაცრება მოხდეს. ამასთან, სეზ-მა 2021 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 10.0%-მდე გაზარდა წინა 8.5%-დან. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2021 წლის 8 დეკემბერს ჩატარდება.


გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება ამ დოკუმენტის ბოლო გვერდზე.

ეკონომიკური ინდიკატორები

	2019	2020
რეალური მშპ-ს ზრდა	5.0%	-6.2%
მშპ ერთ სულზე (ppp)	15,613	14,918
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,696	4,275
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	7.0%	2.4%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.5	3.9
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	5.5%	12.4%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.1%	9.3%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	40.4%	60.0%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	


წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები
*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

რეალური მშპ-ის ზრდა, წინა წელთან და 2019 წელთან შედარებით



წყარო: საქსტატი, გალტი & თაბარტი

საბანკო სესხების ზრდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: სეზ



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბენჩმარკ ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2021 წლის 26 ოქტომბერს 5-წლიანი 85.0 მლნ ლარის (27.1 მლნ აშშ დოლარი) ოდენობის ბენჩმარკ ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა დაახ. 2.0-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით, რომელიც 2021 წლის სექტემბერში გაიმართა, 0.035პპ-ით შემცირდა და 9.211% შეადგინა.


უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2021 წლის 2 ნოემბერს, სადაც 6-თვიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 2-წლიანი 50 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2021 წელი

ვალიანობა	გამომგება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოგება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება* მლნ ლარი
6-თვე	125	40	75
1-წელი	135	60	255
2-წელი	190	100	980
5-წელი	415	170	2,520
10-წელი	94	0	1,306
სულ	959	370	5,136


წყარო: ფინანსთა სამინისტრო
შენიშვნა: * 2021 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საესტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ვერობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ვერობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 2.12%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 106.57 (+0.11% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ვერობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 102.91 (-0.18% წინა კვირასთან შედარებით), 4.80%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს რკინიგზის ვერობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 101.48 ფასად (+0.13% წინა კვირასთან შედარებით), 3.75%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ვერობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 100.92 (+0.03% წინა კვირასთან შედარებით), 2.53%-იანი შემოსავლიანობით.

ვერობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ვერობლიგაციები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-26	BB/BB/Ba2	100.92	2.53	134.90
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-28	BB-/B+/-	101.48	3.75	238.77
GEBGG 07/23	USD	350	6.000%	Jul-23	BB-/B/Ba2	106.57	2.12	152.51
GEBGG 11 1/8 PERP	USD	100	11.125%	n/a	B-/B-	110.56	9.24	586.16
GEOCAP 03/24	USD	300	6.125%	Mar-24	-/B/B2	102.91	4.80	401.42
SILKNET 04/24	USD	200	11.000%	Apr-24	B-/B1	108.13	7.27	411.90
TBC 06/24	USD	300	5.750%	Jun-24	BB-/B/Ba2	106.97	2.98	211.49
TBC PERP	USD	125	10.775%	n/a	B-/B-	110.52	9.48	582.29
GGU 07/25	USD	250	7.750%	Jul-25	B+/B/-	106.52	5.79	369.99

ადგილობრივი ობლიგაციები


KTW 12/22	USD	10	9.00%	Dec-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
GWP 12/21	GEL	30	12.50%	Dec-21	BB-/B/Ba2	n/a	n/a	n/a
M2CA 12/21	USD	30	7.50%	Dec-21	-/-/-	100.00	7.50	n/a
M2RE 10/22	USD	35	7.50%	Oct-22	-/-/-	100.43	7.20	n/a
GLC 08/22	USD	10	7.50%	Aug-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
GLC 07/23	USD	12	5.75%	Jul-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
GLC 07/23	EUR	3	4.75%	Jul-23	-/-/-	n/a	n/a	n/a
SILKNET 04/24	GEL	34	12.50%	Apr-24	B+/B1/-	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	13.00%	Dec-23	-/-/-BB-	n/a	n/a	n/a
Lisi Lake Development	USD	12	8.00%	Dec-21	-/-/-B+	n/a	n/a	n/a
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/-BB-	n/a	n/a	n/a
EVEX 11/24	GEL	50	12.10%	Nov-24	-/-/-BB	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 15.18 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.26% წინა კვირასთან შედარებით და -3.68% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 117 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 14.92 - 15.60 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 21 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 15.70 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +0.51% წინა კვირასთან შედარებით და +14.10% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 1.1 მილიონ აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 15.36 - 16.40 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 77 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 6.04 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -1.79% წინა კვირასთან შედარებით და +4.32% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 160 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 5.94 - 6.35 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 44 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ	წილი, %	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2021F	2022F	2021F	2022F
Bank of Georgia	BGEO	GBP	15.18	746	41.3%	76.5%	24.4%	5.10x	4.91x	1.02x	0.93x
TBC	TBC	GBP	15.70	866	52.4%	73.1%	25.6%	5.56x	5.33x	1.05x	0.93x
Halyk Bank	HSBK	US\$	20.02	108,043	25.8%	92.8%	37.9%	6.26x	6.29x	1.31x	1.18x
Sberbank	SBER	USD	18.00	5,289	25.7%	83.3%	54.5%	5.22x	4.99x	1.30x	1.20x
VTB Bank	VTBR	US\$	1.46	9,435	13.6%	86.5%	52.5%	2.51x	3.01x	0.44x	0.41x
Akbank	AKBNK	TRY	5.86	30,472	20.1%	19.8%	-15.4%	3.25x	2.60x	0.42x	0.37x
Garanti	GARAN	TRY	9.85	41,370	36.2%	45.3%	-5.0%	3.50x	3.02x	0.55x	0.48x
Isbank	ISCTR	TRY	5.63	25,335	15.1%	8.1%	-19.6%	2.89x	2.18x	0.33x	0.29x
PKO	PKO	PLN	48.80	61,000	37.3%	158.2%	69.9%	13.14x	12.14x	1.37x	1.30x
PEKAO	PEO	PLN	131.75	34,580	62.4%	212.9%	115.6%	17.80x	14.38x	1.32x	1.25x
Millennium	MIL	PLN	9.15	11,099	120.9%	327.6%	179.8%	13.12x	13.98x	1.43x	1.37x
Mbank	MBK	PLN	564.50	23,917	143.3%	370.4%	215.0%	22.73x	17.51x	1.45x	1.36x
BRD	BRD	RON	18.46	12,865	16.8%	60.0%	24.2%	11.09x	10.88x	1.38x	1.35x
Banca Transilvania	TLV	RON	2.51	15,842	10.9%	44.7%	22.7%	9.18x	8.75x	1.51x	1.40x
OTP	OTPD	USD	22.00	12,320	-1.8%	-3.5%	-3.5%	7.90x	7.37x	0.63x	0.56x
Komercni	KOMB	CZK	861.50	163,727	31.1%	81.9%	31.1%	15.55x	13.41x	1.36x	1.36x
საშუალო								9.05x	8.17x	1.06x	0.98x
მედიანა								7.08x	6.83x	1.30x	1.19x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ	წილი, %	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2021F	2022F	2021F	2022F
Georgia Capital	CGEO	GBP	6.04	287	6.5%	61.1%	11.9%	na	na	na	na
Tinc Comm	TINC	EUR	13.52	492	6.3%	5.6%	4.4%	na	na	na	na
Sabancı Holding	SAHOL	TRY	11.12	22,689	37.1%	37.3%	-3.0%	3.82x	3.22x	0.50x	0.41x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	39.85	749	14.2%	54.5%	27.9%	4.38x	10.72x	1.08x	1.01x
Eurazeo	RF	EUR	80.95	6,413	15.2%	103.6%	45.9%	9.38x	12.01x	1.05x	0.96x
Carlyle Group	CG	USD	56.34	19,969	32.9%	120.4%	79.2%	13.75x	14.25x	4.11x	5.00x
საშუალო								7.83x	10.05x	1.69x	1.84x
მედიანა								6.88x	11.36x	1.07x	0.98x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოთხოვრებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტთან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობისთვის მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირება უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: researcht@gt.ge